წელიწადი მეცხრე — Neuvième Année

საქართველო უწინარეს ყოვლისა

# თეთრიგიორგი

პარიზი
ივლისი-აგვისტო 1934 წელი
№ 78-79

ქართველ პატრიოტთა ორგანო

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction: 18, rue Olier. Paris XV^e.

Paris
Juillet-Août 1934
№ 78-79

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ერთობისათვის

### II.

კავკასიის ერთა ერთობა კონფედერაციის სახით დღეს ყველა ჩვენ პოლიტიკურ პარტიათაგან მიღებული იდეაა და ამ იდეის განხორციელება მიზანია მათი მოქმედებისა: განთავისუფლდება რა კავკასია გარეშე მტრის ბატონობითგან, მისი ერებიც მყისვე უნდა შეეცადონ შექმნან კავკასიის კონფედერატიული სახელმწიფო.

მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ არც ეს მიღებული იდეა გარდაქცეულა მტკიცე რწმენად და მისი განხორციელებაც შორს არის.

მარტო იდეის მოწონება არა კმარა. საჭიროა იდეა საგსებით გარკვეული და წმიდა იყოს, დამაკმაყოფილებელი მის მიმღებთა, რომ ის რწმენად გარდაიქცეს, ხოლო კავკასიის კონფედერაციის იდეის ყველა კავკასიურ ერთა და პოლიტიკურ პარტიათა მიერ გულწრფელად აღსარებას ბევრი რამ უშლის ხელს.

შორითგან შემხედვარისათვის, ვისაც ეკონომიური ფაქტორი გარდამწყვეტი ჰგონია, ეს ეცნაურიც არის: გეოგრაფიული და სამეურნეო ერთობის მქონე კავკასიის ერებს რა უნდა უშლიდეს პოლიტიკური მუდმივი კავშირით ცხოვრებას? — მრავალ-ფეროვანება კავკასიის ერთა: მოდგმისა, სარწმუნოებისა, ერთობ კულტურისა, წარსულის გარდმოცემათა და სხვ., რაიცა ჰმქნის მათ ეგრეც-წოდებულ „პოლიტიკურო ორიენტაციათა“ სხვა და სხვაობას — აი პასუხი. კავკასიაში ვცხოვრობთ ქართველები, ქრისტიანული ერი, ძველი ქრისტიანული კულტურისა და ერთად-ერთი, რომელსაც კავკასიის მიწა-წყალზედ სახელმწიფოებრივი შემოქმედების ნიჭი და ენერგია ჰქონია წარსულში და საუკუნეთა განმავლობაში უცხოვრია დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებით; ადერბეიჯანელები, სისხლით და ენით მონათესავენი მეზობელი დიდი სახელმწიფოს, ოსმალეთის ერისა, ხოლო სარწმუნოებით მუსულმანები შიის მოძღვრებისა და კულტურულად სპარსეთის პროექცია კავკასიაში; მთიელები, სისხლით და ენით უფრო ჩვენი მონათესავენი, ხოლო სარწმუნოებით და კულტურით ისლამის სფეროში მყოფნი საუკუნეთა განმავლობაში; სომხები, აგრეთვე ქრისტიანული კულტურის ერი, მაგრამ საკუთარი აღსარების მქონე, მხოლოდ ნაწილობრივ მკვიდრნი კავკასიისა და ტერრიტორიალურად და ეკონომიურად გინსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფნი. ამას კიდევ ემატება სხვა წვრილმანები, რომელიც ართულებს ამ სხვა და სხვაობას: მაგ. განყოფა ჩვენ და სხვა მთიელთა არა მონათესავე ინდოგერმანული მოდგმის ოსთა ერისა ორ ნაწილად: ქრისტიანულად და მუსულმანურად; განსაკუთრებული მდგომარეობა მუსულმანურ-ოსმალურ სფეროში დიდი ხნითგან შესული და დღემდე ამ სფეროს მოზიარე სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსი; სომეხთა ერის ერთი გვარიანი ნაწილის მკვიდრობა საქართველოსა და ადერბეიჯანის ტერრიტორიაზედ, და სხვ.. ამ ერთაგან ყველას აქვს აგრეთვე ცხოვრების მრავალ შინაგან სირთულესთან საბრძოლველი. ამასთანავე, მიუხედავად იმისა რომ თავის თავად ყველასათვის არის მისაღები იდეა საერთო პოლიტიკური ცხოვრების მოწყობისა, ყველას აქვს მოურეველი სურვილი თავისი პოლიტიკური იდეალის მაქსიმალურად მიხწევისა, სიმპათიები კავკასიის გარეშე მყოფ სისხლით და კულტურით ნათესავთადმი, იმედები თვისი უპირატესობის შექმნისა მეზობელთა წინაშე განსაზღვრულ პირობებში, აგრეთვე ყრუ მტრობა მეზობელთა, ძველთაგან გარდმოცემული, და შური, რაიცა ისევე ბუნებრივია საერთაშორისო განწყობილებაში, როგორც კერძო ადამიანთა ცხოვრებაში. ყოველივე ესე ჰბადებს სხვა და სხვა „პოლიტიკურ ორიენტაციებს“ კავკასიელთა შორის და ამ დაბრკოლებათა გადალახვაა საჭირო, რომ „კონფედერაციის“ იდეა მარტო მისაღები და სიმპათური კი არ იყოს კავკასიის ყოველი ერისათვის და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელთათვის, არამედ ნამდვილი რწმენა, რომ გარეშე ამ კონფედერაციისა, გარეშე ჩვენი საკუთარი საერთო ქვეყნისადმი „ორიენტაციისა“ კავკასიას პოლიტიკური მომავალი არა აქვს.

ჩვენ გარეშე მყოფ ძალთაგან რაც მოხდება და როგორ მოეწყობა კავკასიის პოლიტიკური ცხოვრება, თუ ამ გარეშე ძალებს ექმნათ გარდამწყვეტი მნიშვნელობა, ამის წინასწარმეტყველება ძნელია და სულ სხვა საკითხიც არის ივი. ხოლო თუ ჩვენ თვითონაც გვინდა ვიყვნეთ გამჭედნი ჩვენი პოლიტიკური ბედისა, უპირველეს ყოვლისა ძველთაგან გარდმონაცემი ურთი-ერთის მტრობა და შური და გამოუსადეგარი ცალკე „ორიენტაციები“ უნდა მოვიშოროთ თავითგან, და მაშინ რწმენა ერთობის საჭიროებისა კავკასიის ერებს საგმარისს ენერგიას მისცემს იმისათვის, რომ თვით მათ მეტი მნიშვნელობა ექმნესთ ჩვენი პოლიტიკური ბედის გარდაწყვეტაში, ვიდრე გარეშე ძალებს.

თუ დღეს კიდევ არსებობს ქართველ პოლიტიკოსთა შორის ისეთი მეოცნებე, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია დავიდ აღმაშენებელის იმპერიის შექმნა, მან თავითგან უნდა გამოიგდოს ასეთი ოცნება. საქართველოს პირველ-ყოფილი კულტურულ-სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მისსიაც რომ არ დაბრკოლებულიყო კავკასიაში არაბთა შემოსევით და ისლამის შემოტანით, და მერე მონღოლთა შემოსევით და კავკასის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შეცვლით, დღეს მაინც სხვა და სხვა კულტურულ ერთაგან იქმნებოდა დასახლებული კავკასია, თუმცა მათი კონფედერაციის საკითხი ან დიდი ხნითგან იქმნებოდა უკვე გარდაწყვეტილი, ან და ახლა უფრო ადვილად გარდასაწყვეტი. დღეს კი ყოველმა პოლიტიკურად მოაზროვნე ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენი მეზობლები ეროვნული შეგნებითა და თავ-მოყვარეობით აღჭურვილნი საზოგადოებრივნი პიროვნებანი არიან და მხოლოდ მათთან ერთად შეგვიძლია გარეშე ძალებთან ბრძოლა, ამ ძალთაგან განთავისუფლება და შემდეგ უზრუნველ-ყოფა ჩვენი საერთო მიწა-წყლისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა მათი ძალ-მომრეობისაგან. — თუ ადერბეიჯანის ერმა, მიყრდნობილმა თურქ-სპარსებთან რასის, ენის და კულტურის ნათესაობასა, თვის მიზნად დაიხადა თურანულ-ისლამურ სფეროში პოლიტიკურად შესლვა და ამ სფეროში მიხწევა თვის ეროვნულ იდეალთა, ნურც მას დაავიწყდება, რომ არის გარეშე ძალა, მტრულად განწყობილი ყველა კავკასიის ერებისადმი და იმ სფეროსადმიც, სადაც იგინი შესლვას მოინდომებენ. ეს ძალა სარგებლობდა მუდამ კავკასიის ერთა შორის არსებული უთანხმოებით და კვლავაც ისარგებლებს. ყოველთვის მოხდება ის, რაც მოხდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, რაც მოხდა ჩვენ თვალ-წინ 1920-1921 წლებში, და დღესაც გრძელდება: განაგურება პოლიტიკური, სულიერი და ფიზიკური კავკასიის ერთა ისე, რომ მშვიდელი არსითგან იქმნება. — თუ სომხები საბოლოდ არ დარწმუნდენ, რომ მათი პოლიტიკური ბედი მხოლოდ კავკასიის ერთა პოლიტიკურ ბედთან არის მჭიდროდ შეკავშირებული და მხოლოდ მათთან კავშირია ერთად-ერთი საფუძველი მათი პოლიტიკური თავისუფლებისა და ეროვნულ-კულტურული განვითარებისა ჩვენ საერთო სამშობლოში, კავკასიაში, მათი მომავალიც ისეთივე მწარე იქმნება, როგორც იყო წარსული, რათგანაც ის იმედები, რომელსაც იგინი ამყარებენ ჩრდილოეთზედ, არ გაუმართლდებათ: მომავალი განაციონალისტებული რუსეთი არც ერთ ერს, განსაკუთრებით კულტურით ძლიერს, არ დაინდობს თვის საზღვრებში, და ამასთანავე მჩაგვრელთა მომხრე მჩაგვრელისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლთ და სხვა ორიენტაციის მეზობელთაც გადიკიდებს მტრად. — ბოლოს, მთიელებმაც უნდა გაიგონ, რომ დრონი იცვალნენ, და დღეს სარწმუნოებრივმა განსხვავებამ აღარ უნდა დაუშალოს მათ საერთო პოლიტიკური ცხოვრება ქრისტიან მეზობლებთან და ამ მეზობელთა შორისაც ერთ უახლოესი, იმავე სულით არის აღტყინებული კავკასიაში გაბატონებულ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, როგორც ოდესმე მთა, და თუ მაშინ საქართველო იძულებული იყო, რუსეთს მიმხრობოდა, ამისი მიზეზი იმ კავკასიელთა შეუგნებლობაც იყო, რომელნიც საქართველოს მტრებს ეხმარებოდენ საუკუნეთა განმავლობაში, უმთავრესად როგორც ერთ-მორწმუნეთ.

აღმოვკვეთავთ რა ჩვენი გონებითგან და გულითგან შემცდარ თეორიებს და კომბინაციებს, ცრუ იმედებს, ნაშთებს ძველი დროითგან გარდმონაცემ გრძნობათა, სულ სხვა შესაძლებლობანი გადაგვეშლებიან თვალის წინ. მაშინ არა თუ დაგვებადება რწმენა ჩვენი ერთობისა, არამედ ენერგიაც მოქმედებისა, რათგანაც თვითეული მებრძოლი იბრძოლებს ურთიერთზედ მინდობილ 11 მილიონ კავკასიელთა სახელით. მაშინ კავკასიელები ურთი-ერთს სრულის გულ-წრფელობით მივუდგებით და ჩვენ შორის სადაო საკითხთა გარდაწყვეტაც უფრო ადვილი იქმნება, რათგანაც ნამდვილი რწმენა ერთობის საჭიროებისა დაჰბადებს ურთი-ერთის უფლებათა ცნობას და პატივის-ცემას. ყოველ ერს აქვს კავკასიაში თავისი სულიერი და ნივთიერი სამფლობელო და მისი უფლება ამ სამფლობელოზედ ხელ-შეუხებელია. განსაკუთრებით სამკვიდრებელი ერისა, რომელიც გაუღენთილია შთამომავლობათა სისხლით და რომელიც კვლავ სჭირდება ერს თვისი შემოქმედების განვითარებისათვის, წმიდათა-წმიდაა მისთვის. ჭეშმარიტ პატრიოტს შეუძლია მხოლოდ გაიგოს სულის კვეთება ჭეშმარიტი პატრიოტისა და ამიტომ კავკასიის ნამდვილი ერთობის შემგნებნი პატრიოტნი მის სხვა და სხვა ერთა არ მოსთხოვენ ურთიერთს იმას, რაც მოსათხოვი არ არის, და აქ არის უმკვიდრესი საფუძველი ჩვენი ერთობისა და თანხმობისა. კავკასიის ერებს ყველას აქვს საკმარისი მიწა-წყალი, რომლიც ნორმალურ პირობებში გამოჰკვებს ერს და რომელზედაც მას შეუძლია საუკუნეთა განმავლობაში შემოქმედება და განვითარება. არავისათვის საჭირო არ არის მეზობლისაგან მიწათა წაგლეჯა „ეკონომიური მოსაზრებით“ და სხვა ამგვარი არგუმენტებით, მით უმეტეს, რომ ჩვენა გვსურს კონფედერაციის, ერთა კავშირისა და არა ურთი-ერთის მეტოქე სახელმწიფოთა შექმნა კავკასიის ტერრიტორიაზედ. ოასაკვირველია თვითოეული ერი სუვერენული უნდა იქმნეს თვის შინაურ საქმეებში, მაგრამ კონფედერაციის კონსტიტუციის ძალით ის ეროვნულნი უმცირესობანი. რომელნიც ყოველი ერის ტერრიტორიაზედ იქმნებიან, ხომ უზრუნველ-ყოფილნი უნდა იქმნენ სავსებით და ყოველ-მხრით. ჩვენ კი ამ ტერრიტორიალურ საკითხზედ მეტი სერიოზული სადაო საკითხი არა გვაქვს რა ურთი-ერთ შორის, თუ ნამდვილი რწმენა დაიბადა კავკასიის ერთა პოლიტიკური კავშირისა. და თუ ჩვენი იდეალი განხორციელდა, სწორედ მაშინ იქმნება უფრო ადვილი გადასაწყვეტი აგრეთვე საკითხი იმ კავკასიურ ეთნიურ ელემენტთა, სომეხთა და სხვათა, რომელნიც კავკასიის გარეშე დარჩებიან, ვინაითგან კავკასია მნიშვნელოვანი სახელმწიფო იქმნება, რომელსაც საგანგებო გავლენაც ექმნება გარედ და საკმარისი საშუალებაც შინ, რომ უცხოეთშიაც დაიცვას კავკასიელთა უფლებანი და სამშობლოშიაც მიუჩინოს ბევრ მათგანს ბინადრობა.

ამ პოლიტიკური მრწამსის განმტკიცება კავკასიის ერთა შორის უკვე დაწყებულია ნამდვილ პატრიოტ კავკასიელთა მიერ. პარიზში გასაცემული „ КАВКАЗЪ “-ა ორგანო მათ იდეათა განმავრცელებელი, და დარწმუნებულნი ვართ, რომ მისნი მეთაურნი დიდ როლს აღასრულებენ კავკასიის პოლიტიკური ბედის გადაწყვეტაში. პოლიტიკური ცხოვრება კავკასიის ყველა ერთა კონფედერაციის სახით, რომელიც აგრეთვე სავსებით უზრუნველ-ჰყოფს თავისებურებას თვითეული ერისა — აი რა არის ჩვენი იდეალი. კონფედერაცია საშუალებაა ერის თავისებურების შენახვისა და განვითარების უზრუნველ-ყოფისათვის. ეს არ უნდა დაავიწყდეს არც ერთ კავკასიის ერს და მაშინ პოლიტიკური ერთობა მეზობლებთან ვეღარ დააეჭვებს მათ, თითქოს ამ ერთობით მეზობლები მას დაჩაგრავენ და ამით წარიხოცება მათი ეროვნული თავისებურება. თავისებურება თვით ერთი ერის ნაწილებსაც აქვსთ და ნამდვილი ეროვნული სახელმწიფო სწორედ იმასა სცდილობს, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მთლიანობაში ერის ნაწილთა თავისებურებაც დაიცვას და შეინახოს, რომ უსაზღვრო ცენტრალიზმმა არ ჩაჭკლას იგი და ამით არ დააკლოს მთელ ეროვნულ კულტურას, რაიცა ხშირად მომხდარა ბევრგან. ამ მოსაზრებით მიიჩნია „თ.-გ.“-იმ საჭიროდ თვით საქართველოს მოწყობა მის განსაკუთრებული წარსულისა და განსაკუთრებულ თვისებათა მქონე კუთხეთა ფედერეციად, ე.ი. დეცენტრალიზაციის პრინციპზედ. ასეთნაირადვე აწყობს გერმანიის მთლიანობას ნაციონალ-სოციალიზმში: ეროვნული მთლიანობის განმტკიცებასთან ერთად გერმანიის სხვა და სხვა ქვეყანათა თავისუფლებას იცავს და ინახავს იგი. და მით უმეტეს უნდა იხელმძღვანელოს ამ პრინციპით სხვა და სხვა ერთაგან შემდგარმა კონფედერაციამ.

ჩვენი პოლიტიკური მრწამსის განმტკიცებით ჩვენ შევქმნით იდეურ საფუძველს კავკასიის სახელმწიფოსათვის, და ეს უდიდესი საქმეა, რათგანაც მტკიცე იდეურ საფუძველს მოკ-

ლებული არა თუ სხვა და სხვა ერთაგან შემდგარი სახელმწიფო,არამედ ეროვნული სახელმწიფოც ვერ არსებობს ხანგრძლივად. განვიმეორებთ, სულ სხვა საკითხია გარეშე ფაქტორთა როლი, რომელიც შეიძლება გადამწყვეტიც იქმნეს კავკასიის პოლიტიკური ბედისა ჩვენთვის საბედნიეროდ თუ საუბედუროდ. მაგრამ რაც ჩვენი საქმეა, ჩვენგან დამოკიდებული, ჩვენი მოვალეობა, ის ჩვენ უნდა აღვასრულოთ, ჩვენი ბედი ჩვენც უნდა ვსჭედოთ, და თუ ჩვენს მიზანს ვერ მივახწიეთ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, წმიდა იდეა მაინც გადავსცეთ ჩვენ შემდეგ მომავალ მოდგმათ, რომ მათ აღასრულონ ის, რის აღსრულებაც ჩვენ ბედმა არ დაგვიწერა.

მ. წერეთელი.

## საქართველოს სინამდვილენი...

ჩვენ მოწინააღმდეგეთაგან ხშირად გვსმენია კითხვა ჩვენ, თ.-გიორგელნი, საქართველოს სინამდვილეებს არ ვიცნობდეთ. ამისი საბუთი კი ჯერ ვერავინ წამოგვიყენა. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ თ.-გიორგის მოპირდაპირენი არ იცნობენ საქართველოს სინამდვილეებს და მის რეალურ ინტერესებს, რაც მათი პარტიული მოდგაწეობის შედეგებმა, საქართველოში, სავსებით ნათელ ჰყვეს. ხოლო თ.-გიორგი კი სამშობლო ქვეყნის სინამდვილეებს ღრმად და ზედმიწევნით ჩასწვდა.

ამ წერილის მიზანს შეადგენს დასაგუთეგა მისა თუ რა მოვლენები, რა ფაქტორები მიგვაჩნია ჩვენ საქართველოს მთავარ სინამდვილეებად და რა გვარ მოქმედებას, რა გვარ სახელმწიფოებრივ ფორმებს საჭიროებენ ეს სინამდვილენი.

შვიდ წელზედ მეტია რაც თ. გიორგის, საქართველოს სინამდვილენი, დღის სინათლეზედ გამოაქვს და მეცნიერულ-პოლიტიკურად აშუქებს. მაგრამ ამ წერილში ერთხელ ზედმეტად გვსურს განვიხილოთ თუ რა მიაჩნია თ.-გიორგის საქართველოს მთავარ სინამდვილეებად და როგორ უპასუხებს იგი მათ.

პ ი რ ვ ე ლ ი. საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საჭიროება. ესაა მთავარი ეროვნული სინამდვილე. ხანგრძლივი მონობა ერს გადაგვარეგის გზაზედ აყენებს. საქართველო, მსოფლიო ომის წინ, განიცდიდა დიდ ეროვნულ დეგენერაციას. ჩვენი არისტოკრატიის შესამჩნევი ნაწილი გარუსდა, დაივიწყა სამშობლო ენა და რუსის იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა. ქართველმა მოაზროვნე სახოგადოებამ, მცირე გამონაკლისებით, შეითვისა რუსის ინტელიგენციის სული და ანარქისტული ბუნება. ამ გადაგვარების ნიადაგზედ წარმოიშვა ჩვენში სოციალისტური მოძრაობა. ჩვენი სოციალ-დემოკრატები იყვნენ წმერეგი რუსული პარტიისა, იბრძოდენ რუსეთის მთლიანობისათვის და სცდილობდენ ქართველი ერის გაიქვეფას რუსეთის ბნელ მასებში. ამ მხრივ იგინი იყვნენ საუკეთესო აგენტები რუსეთის იმპერიის პოლიტიკისა: რუსიფიკაციისა. ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატების იდეალი კი ავტონომიაზედ მაღრს ვერ მიდიოდა.

ამ საერთო სიბნელის წუთებში მოქმედების ასპარაზზედ გამოდის «ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი». ეს მოხდა 1910 წ.. სეპარატისტებმა გაბედულად და მტკიცედ მოითხოვეს საქართველოს რუსეთითგან სავსებით გამოყოფა. სეპარატისტები ამტკიცებდენ, რომ საქართველო მხოლოდ დამოუკიდებლობის წიაღში მოიპოვებს ეროვნულ ვინაობას და შესძლებს ეროვნული აღორძინების და ძლიერების გზაზედ დადგომას. ეს იყო მთავარი სინამდვილე და რასაკვირველია მარადის სინამდვილედ დარჩა. ოცი წლის შემდეგ სხვებიც მიხვდენ ამ უბრალო სინამდვილეს, ზოგი ძალდატანებით, როგორც რუსეთის სამოთხითგან გამოდევნილი მენშევიკები; ზოგმაც გულწრფელად აუხილა თვალი ჭეშმარიტებაზედ. მაგრამ იმ დროს, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი გადაგვარების ყოველიადში, მხოლოდ სეპარატისტები მიხვდენ დამოუკიდებლობის აუცილებლობას და შესაძლებლობას და მსოფლიო ომის დროს იარაღითაც იბრძოლეს ამ დიადი იდეისათვის და კიდევაც შესძლეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის საერთაშორისოდ დაყენება. იმ დროს, ზოგიერთნი, რომელნიც დღეს თ.-გიორგის საქართველოს სინამდვილეთა უვიცობას აცრალებს, მენშევიკების რიგებში იდგენ დამოუკიდებლობას მოღალატეობათ აცხადებდენ და სიტყვა სეპარატიზმს სალანძღავ ტერმინად ხმარობდენ. ამიტომ იძულებულნი ვართ, ამ ვაებატონებს გავაზსენოთ, რომ თ.-გიორგის თავში სდგას სამი დამაარსებელთაგანი სეპარატისტულ პარტიისა და ერთიც მისი მხურვალე და თავგანწირული თანამშრომელი. ესე რომ ზემოხსენებულ მბრალდებელთა პრეტენზია გითომ თ.-გიორგი არ იცნობდეს საქართველოს სინამდვილეთ, მაშინ როდესაც მას ხელმძღვანელობენ ის პირნი, რომელთ პირველთ წამოაყენეს დამოუკიდებლობა, ე. ი. საქართველოს სინამდვილეთა სინამდვილე, ცოტა არ იყოს სასაცილოა.

მ ე ო რ ე. რუსეთ-საქართველოს საკითხში თ.-გიორგი სეპარატისტებზედ წინ წავიდა და ეს პრობლემა საქართველოს არსებობისა მთელი მისი გამიშვლებული სინამდვილით დასვა. დასვა და სავსებით გააშუქა და დაასაბუთა. სეპარატისტთა პირველი გამოსვლითგან თ.-გიორგის დაარსებამდე კარგა ხანი გავიდა. განათლებულ მსოფლიოში ეროვნულმა იდეამ დიდი პროგრესი გააკეთა: იგი გადაიქცა მეცნიერულ ნაციონალიზმად. თ.-გიორგი არ ჩამორჩა ამ საერთო ეროვნულ ევოლუციას და კულტურულსანი კაცობრიობის ეს ძვირფასი განძი და უდიდესი მონაპოვარი ქართულ ეროვნულ ნიადაგზედ გადაიტანა: ამაში მდგომარეობს თეორიოლოგია.

შესაძლებელია თ. გიორგის მიერ დასაბუთებულ ეროვნულ იდეებს ქართველ პარტიების ლიდერები ოცი წლის შემდეგ მიხვდენ. სეპარატიზმის იდეის გაზიარებას ზომ მოანდომეს ოცი წელიწადი? შესაძლებელია. ხოლო დღეს ამ ლიდერების გასწყობილება თ.-გიორგის აზროვნებისადმი ისეთივე მტრობით დასასიათდება, როგორითაც სასიათდებოდა მათი განწყობილება სეპარატისტებისადმი.

უდიდესი საბუთი აღსრულებული ფაქტი. ხოლო ფაქტები ღაღადებენ, რომ ქართველ პარტიათა შორის პირველად თ.-გიორგიმ შეიგნო და პირველმავე მ ნ აღნიშნა ქართული ცხოვრების შემდეგი სინამდვილე:

როდესაც სოციალ-დემოკრატია გამოვიდა მოქმედების ასპარეზზედ, მართალია, ქართველი ხალხი უკვე ეროვნულ დეგენერაციას განიცდიდა, მაგრამ ჯერ არც პატრიოტული სული იყო მასში სავსებით გაძერალი და არც ამ სულის ბუნებრივი და აუცილებელი გამოშეღავნება: კაბატონებული რუსეთისადმი მტრული განწყობილება და სიძულვილი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო ეამი, როდესაც ნ. ბარათაშვილის და ორბელიანების სვედიანი ჩანგის წკრიალი ქართველობას ჯერ კიდევ ყურში უდგა და ილია —აკაკის პოეზია ხან მდუღარე ცრემლებით დაჰქვითინებდა უბედური სამშობლოს მავ-კედს, ხან ბრძოლის ბუკის ხმად ედეკოდა მთელ საქართველოს, ღრმათა სწვდებოდა ქართველის სულს და აფორიაქებდა მას. ხოლო სოციალ-დემოკრატებმა დაამთავრეს რუსის ადმინისტრაციის მზაკრული საქმე და რაც რუსეთის გამხრწნელ გავლენისაგან ჩვენს ხალხს, თავის სულის სიღრმეში, კიდევ გადაგრჩინა ქართული და მამულიშვილური ისიც თითქმის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრეს. თუ სავსებით ვერ მესძლეს ქართველ ხალხის ეროვნული გადაგვარება — ეს მათი კრალი არაა, რათგან ამ მიზნის მისაწვდომად არავითარი საშუალების წინამე არ შეჩერდენ: ტეროი, დემაგოგია, ჯაშუშობა, მუსანათობა, პროპაგანდა, ერთი სიტყვით, ყოველივე ღონე იხმარეს და ამ პოროტებისათვის არც შრომა და არც ენერგია დაუზოგიათ. ხალხს მოუსპეს ეროვნული მეგნება, ეროვნული სიამაყე, თავისუფლებისადმი მისწრაფების ბუნებრივი სურვილი. წამალი ადამიანს ძნელად არჩენს და მხოლოდ გრძელი დროს განმავლობაში, საწამლავი კი რამდენიმე წუთში უსპოზს მას სიცოცხლეს. თუ პატრიოტული გრძნობის, პატრიოტული აღფრთოვანების შესაქმნელად, ხალხში ეროვნული მეგნების მსახტანად, ეროვნული მემოქმედების და ეროვნული ბრძოლის დასაარაზმავად საჭიროა გენიოსი ზე-კაცები: ჭავჭავაძე, მუსოლინი, გარიბალდი, ჰიტლერები მთელი მათის ენერგიით და ძალით, პირიქით, ხალხის გა ერწნა დამლისათვის, მისი სულის და გონების მოსაწამლავად ხაკმარისია გაფანატიკოსებული ქართველი მარქსისტები. და ამ სამშობლოთგან და ღვთითგან გადამდგარმა მარქსისტებმა მართლაც მოსწამლეს და მოშხამეს ქართველი ერი. მართალია, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მენშევიკებმა ვერ შესძლეს ქართველი ხალხის საბოლოოდ გადაგვარება. დიდებული ბაგრატის,ბუმბერაზი დავითის, ბრწყინვალე თამარის და ღვთაებრივი რუსთაველის მიერ გამოჭედილი ქართული ეროვნული სულის მოსპობას ვერც ჩრდილოეთის უზარ-მაზარი ნადირი შესძლებდა და ვერც ქენდრის ეცები ეორდანია-მაზარამ და აკი ვერ მოსპეს. მაგრამ დროებით და მთელი ათეული წლებით კი იმ ზომამდე დასცეს ეროვნული მეგნება საქართველოში და იმ ზომამდე დაალაჩრეს ხალხი, რომ ქართველ ხალხში, იმ ხალხში, რომლის შორის რუსის მთავრობა ერთ ჯალათსაც კი ვერ იპოვნიდა ხოლმე თვით სისხლით დამნამავ ს დასასჯელადაც კი, მარქსისტებმა ილიას მკვლელები იშოვნეს და მათი მზაკრული ხელი შეაიარაღეს!

მკნშვიკებმა სრულიად დააკარგვინეს ქართველ ხალხს მეგნება იმ ბრძოლის მნიშვნელობისა და შინაარსისა, რომელს საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებდა რუსეთი იარაღით თუ სხვა უფრო ძალული და მით უმეტესად მომაკვდინებელი საშუალებით. საქართველოს ეროვნულ გადაგვარებაში უფრო დიდ როლს თამაშობდენ რუსის უნივერსიტეტები, კორპუსები, სკოლები, სამღვდელობა, რუსული ლიტერატურა და რუსული კრიმინალური აზროვნება, რომლის ნიადაგზედ წარმოიშვა საქართველოში სოციალ-დემოკრატული პარტია და მუნდირ-ჩინიანი მუსანათები, ერთი სიტყვით, ის საწამლავი, რომელს მოსკოვი ყოველ დღიურად და სისტემატიურად აწვეთებდა საქართველოს ეროვნულ სხეულს, ვიდრე ის ზარგაზნები, რომლებით ენერგინა, ციციანოვმა, პორტნიაგინმა, პუზირევსკიმ, ტიზენგაუზენი, ალიხანოვეგმა და ნიკრეკვებად აქციეს საქართველოს სოფელ-ქალაქნი, საუცხოო ეკლესია-მონასტრები და სასელოვან წინაპართა ციხე-დარბაზნი. რათგან ერი ინგრევა ზევიდან და არა გარედან. ერის დეგენერაცია მხოლოდ მისი სულიერი ნგრევით იწყება და მთავრდება ხოლმე. ამ სინამდვილეებზედ მენშევიკებმა, ჩვენ ხალხს განძრახ აუხვიეს თვალები.

1812 წელს ქართველი ხალხი — უბრალო სოფლის ბლეგები — ხწერდა თვლავის ციხეში შემწყვდეული რუსის ჯარს: «ჩვენმა მეფეებმა, რუსები, საქართველოს ასაკლებად და ჩვენი სასელმწიფოს დასამხობად კი არ მოგიწვიეთ, არამედ საშველადაო. აიკრიფეთ, რუსეთო, ბარგი-ბარხანა და საიდანაც მოთრეულხართ იქვე წაეთრიეთო». ასეთი საღი ეროვნულ-პოლიტიკური მეგნება ჰქონდა ქართველ ხალხს ასი წლის წინეთ. გავიდა 100 წელი. ფეხი შემოვხდეთ მეოცე საუკუნეში, ე. ი. ერთა აღორძინების, ერთა განმტკიცების, ეროვნული მეგნების გაძლიერების ეპოქაში. ხოლო წაიდა ჩვენი ერიც ამ მსოფლიო ევოლუციის საერთო გზით? არა. და რა დიდი ეგერეგია მედარებით მეცხრამეტე საუკუნესთან!! 1802-4-8-11-12-13-1820 წლებში ქართველი ხალხი იარაღით ხელში თავგამოდებით იბრძვის თავისუფლების და სასელმწიფოს აღდგენისათვის და მათი ბელადები ამ ეროვნულ ბრძოლაში არიან ის ბაგრატიონები,რომელთ თავისი სისხლით, ღვაწლით და გენიით შეჰქმნეს საქართველოს სასელმწიფო და უმაღლეს საფეხურებზედ აიყვანეს ქართული ცივილიზაცია. 1905 6-7 და შემდეგ წლებში კი იგივე ქართველი ხალხი დარაზმულია მარქსისტულ ეჯრედებად და ყოდარია-მაზარაძის მიერ გამართულ მიტინგებზედ თავის მოსიხლე მტერს, რუსეთის შავი სტეპების ხროვას — რუსის ხალხს — ძმობა-ერთობას ეფიცება, ქართველ პატრიოტებს ილიას, დეკანოზიშვილს, ხიზანაშვილს კი მოღალატეებად აცხადებს, სიკვდილით ემუქრება და ამავე დროს სოლიდაროობის სალამს უგზავნის რუსის კრიმინალურ მუშეგს, რუსის მატროსებს, გარყვნილ და ლოთ რუსის მუჟიკებს. და ეს ბანლავსთ, ბატონებო, სოც.-დემოკრატების მიერ ქართველი ხალხის ის დარაზმვა, რომლით დღეს მენშევიკები ასე ამაყობენ და სადღესასწაულოდ იუბილეებს იხდიან!

დიახ, ცალი მხრივ რუსეთის გამარუსებელ პოლიტიკის წყალობით და მეორე მხრივ მარქსისტების გავლენით, რომელნიც, ვიმეორებ, ამ გამარუსებელ პოლიტიკის მთავარი აგენტები იყვნენ, ქართველმა ხალხმა დაჰკარგა სწორ-ხედველობა და საზღვი იმ გადამგვარებელი ბრძოლისა, რომელს რუსეთი აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ. ამაში ბრალი, რასაკვირველია, ნაწილობრივ, ქართველ ინტელიგენციასაც ეკისრება. ეროვნული ინტელიგენციაც ვერ ამჩნევდა ეროვნულ ბრძოლას, ეროვნულ ბრძოლის ბრინციპს, ეროვნულ ინტერესებს

## ჰინდენბურგი †

2 აგვისტოს 1934 წელს გარდაიცვალა გერმანიის რაიხსპრეზიდენტი 87 წლის მოხუცი ღენერალ-ფელდმარშალი პ. ფ. ჰინდენბურგი, უზარმაზარი პიროვნება, ერთი უდიდეს შემომქმედთაგანი მსოფლიო ისტორიისა.

ჰინდენბურგი დიდი იყო რდგორც მხედართ-მთავარი, მუდამ გამარჯვებული და მტრის შემმუსვრელი, სანამ გერმანიის მხედრობას, ერის მიერ ზურგ-გამაგრებულს, ძალა შესწევდა ბრძოლისა, და მაშინაც უმლეველი და ბრძოლის ველზედ დაუმარცხებელი, როდესაც გერმანიის ერი მთელი ქვეყნის წინააღმდეგ ოთხი წლის ბრძოლაში დაიღალა და მისი მხედრობაც დასუსტდა, და კვლავ უდიდესი სამხედრო ხელოვანი, როდესაც საჭირო იყო მილიონ საჭურველ-დაყრილ მხედართა დამშეულ და არეულ სამშობლოში წესიერად დაბრუნება და უდიდესი უბედურების თავითგან აცილება.

თვისი სამხედრო გენიით, ჭკუითა და ხასიათით შესძლო ჰინდენბურგმა ამ მართლაც საგმირო საქმეთა აღსრულება. მან გადაარჩინა სამშობლო აღმოსავლეთ-თგან ბარბაროსთა შემოსევას, ფეხი არ დაადგმევინა სამშობლოს ნიადაგზედ ქვეყნის ყველა სახელმწიფოთა, ერთა და რასათა კავშირს გერმანიის წინააღმდეგ, და ომისათვის უკვე გამოუსადეგარი უზარმაზარი მხედრობა, ჯერ კიდევ მტრის მიწა-წყალზედ მდგომი, სრული წესით და დისციპლინით დააბრუნა სამშობლოში იმ დროს, როდესაც განმხრწნელი ელემენტები გერმანიას რევოლუციის ცეცხლს უკიდებდენ. რომელ უდიდესს მხედართ-მთავარს, მსოფლიო ისტორიითგან ცნობილს, არ შეედრება ჰინდენბურგი? ამიტომაც მოიხვეჭა და დაიმსახურა მან უდიდესი სახელი და უღრმესი სიყვარული თვისი ერისა, რომელმაც მას „ სამშობლოს მამა “ უწოდა.

ომის შემდეგ ჰინდენბურგი, უკვე მოხუცი, ჰანნოვერში სცხოვრობდა. დიდი მხედარი დიდი მოვალეობის აღსრულების შემდეგ არ იღებდა მონაწილეობას იმ საქმეებში, რასაც თვისი წოდებისად არა სთვლიდა. მაგრამ როდესაც გარეგან მოწინააღმდეგეთაგან შეკრულმა და შინაგან გამხრწნელ ძალთაგან შეწუხებულმა გერმანიის ერმა კვლავ მას მოუწოდა მხსნელად, იგი მაშინაც არ გაექცა მოვალეობას და ჩაუდგა სახელმწიფოს თავში, იტვირთა უძნელესი პოლიტიკური საქმე, რომელიც მას აროდეს უკეთებია, მხოლოდ ერთი გრძნობით, რომ დამარცხებული სამშობლოსათვის სწორედ ჭირში ეშველა და უკანასკნელი ძალა კვლავ მისი სამსახურისათვის სხვა ასკარეზზედაც შეეწირა. და ჰინდენბურგმა, როგორც სახელმწიფო კაცმა, აქაც იგივე ჭკუა და ხელოვნება გამოიჩინა, როგორც მხედართ-მთავარმა ბრძოლის ველზედ. მისი პოლიტიკური ნიჭისა და მისი ავტორიტეტის წყალობით არ შთაინთქა გერმანია თოთხმეტი წლის შინაგანი ბრძოლის შემდეგ კომუნისტურ ქაოსში. ჰინდენბურგი საკუთარი პოლიტიკური რწმენით კი არ ხელმძღვანელობდა ( იგი მონარხისტი იყო ), არამედ უმაღლესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებითა, და როდესაც ეროვნულმა ძალებმა დარაზმვა მოასწრეს და ისე გაიზარდენ, რომ არა თუ ანარქიულ ძალებს გაუმკლავდებოდენ, არამედ სახელმწიფოსაც მოუვლიდენ და ახალი იდეის საფუძველზედ შესძლებდენ მის გარდაქმნას და განმტკიცებას, მაშინ გაუხსნა გზა ჰინდენბურგმა სახელმწიფო წიაღისაკენ ნაციონალ-სოციალიზმს, როგორც ერის მხსნელ ერთადერთ ძალას, და ჰიტლერთან თანამშრომლობა სამშობლოს სამსახურის უკანასკნელი დიდი აქტი იყო დიდი მოხუცისა.

ჰინდენბურგმა დამშვიდებული გულით დახუჭა საბოლოოდ თვალები: ღირსეული, დიდი მემკვიდრე დაუტოვა პატრიოტად თავის საყვარელ ერსა და სამშობლოს: ახალგაზრდა, გენიოსი ხელმძღვანელი, წინასწარმეტყველური რწმენით აღტყინებული, ახალ იდეათა ხორც-შემსხმელი. და ეს ხომ ჰინდენბურგის ერთად-ერთი იმედი და ოცნებაც იყო: ახალი თაობა აღაშენებს დანგრეულ სამშობლოსაო.

ამ ბუმბერაზ პიროვნებას ყოფილი მტრებიც ღირსეულად იხსენიებდენ მუდამ, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ დიდებით მოიხსენიეს იგი. მხოლოდ დრკუთ სულითა და ხორცით, რომელთაც სძულს ყოველივე, რაც მათ არა ჰგავს, სცადეს მათი ბუნების შესაფერი ხმა ამოეღოთ, მაგრამ ეს ხმა კეთილ-შობილთა და დიდ-ბუნებოვანთა ხმამ დაჰფარა და განაქარვა.

ხოლო ჩვენ, ქართველებს, გარდა იმ ღირსეული დაფასებისა, რომელიც ქვეყანამ მიუძღვნა ჰინდენბურგს, კიდევ სხვა რამ გვმართებს. მისმა გენიამ ჰყო შესაძლებელი საქართველოს თავისუფლება 1918 წელს, განართხო რა მიწაზედ დამარცხებული დიდი ვეშაპი, მტერი საქართველოსი. და მისი და მის თანამშრომელთა გეგმით განთავისუფლდა საქართველო მათი თაოსნობით და მათ მხედართა დახმარებით გავსწმინდეთ მტერთაგან ჩვენი მიწა-წყალი. მათი გავლენით პირველად გერმანიამ იცნო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა.აქ არის წყარო ჩვენი მისადმი და მის თანამშრომელთადმი განსაკუთრებული სიყვარულისა. ჩვენმა ომის დროს აქ მომუშავე კომიტეტმა ნიშნად ამ სიყვარულისა და დიდი საქმის სანახსოვროდ ვარსკლავი თამარის სახით პირველად ჰინდენბურგს უძღვნა და პასუხად მადლობას მოჰყვა მისი სურვილი საქართველოს თავისუფლებისა. და მართლაც აღგვისრულდა ეს სურვილი დიდი მეგობრისა, და ჩვენი ქვეყანაც ისე მალე არ დაჰკარგავდა თავისუფლებას, რომ ზიგფრიდს ხმალი არ გადასტეხოდა...

მაგრამ ზიგფრიდს ხმალს ისტორია კიდევ განუჭედს, და იგი კვლავ განართხობს ძველ ვეშაპს, და ვეშაპს კვლავ გაუვარდება ივერია პირითგან. ამ იმედს ჩვენ საშვილი-შვილოდ გარდავცემთ ქართველობას, და საუკუნოდ სახსენებლად სახელს იმ ბუმბერაზისა, რომელმაც ჩვენ გულში ეს იმედი დანერგა. დაე ამ იმედმა მისცეს ძალა ჩვენ ამირანს ვეშაპთან ბრძოლისათვის და მოთმინებისათვის.

მიხ. წერეთელი.

## ბ. რ. გაბაშვილის მოხსენება

ბ. რ. გაბაშვილმა თავისი მოხსენება « რუსეთ-საქართველოს » ომი ორ ნაწილად გაჰყო. პირველი ნაწილი მისი მოხსენებისა იყო მსედრულ-პოლიტიკური მიმოხილვა ჩვენი სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის სანისა, რომელმაც მიგვიყვანა ასეთი, ისტორიაში ჯერ არ ნახული კატასტროფამდე.

ბ. გაბაშვილს, როგორც დამფუძნებელი კრების წევრს, პოლიტიკურ მოღვაწეს, ახლო მდგომს მართველ წრეებთან მართლაც კარგა მოზრდილი მასალა დაუგროვებია იმისათვის, რომ ზედმიწევნით დაეხასიათებია ჩვენი მსედრულ-პოლიტიკური საქმიანობა ომის წინამორბედ, ე. წ. ხამხადისის სანაში. მომხსენებელმა ნათლად დაგვანახა თუ რა უზარმაზარი შრომა და ენერგია გაუწევიათ ჩვენს მამა-მთავრებს იმისთვის, რომ დამოუკიდებლობა... ხელიდან გამოსცლოდათ, თუ რა უზარმაზარი უვიცობა გამოუჩენიათ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

როდესაც ემიგრანტულ წრეებში აღიძრება საკითხი — ან მოხსენების სახით ან პრესის სამუალებით — ჩვენი კატასტროფის მესაზებ, ხაზოგადოება რამოდენიმე ჯგუფად დაიყოფა ხოლმე. ყოველი ჯგუფი თავის « კანდიდატს » წამოსაკუთებს ბრალდებულის სკამზე. ზოგი გვარდიას აბრალებს, ზოგი არმიას, ზოგა « პანიკიორ » ღენერლებს და ზოგიც უკანასკნელ მთავარ სარდალს. არსებობს ისეთი ახირებული ჯგუფი, რომელიც ამბობს « ომის ამბავი გვიამბეთ, რათ გამოვიქეცით? პოლიტიკა აქ რა შუაშია, ეგ არ გვაინტერესებს ». ასე გამოდის თითქოს საზოგადოებრივ ოპოზიციურ ცხოვრების და ომის შუა არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არ იყოს. თითქოს ომი იყოს გამოცდა ერის რომელიმე ნაწილისა: მხოლოდ არმიის, ან გვარდიის, ან ოფიცრების, ან მარტო მთავრების. მაშინ, როდესაც ომი არის გამოცდა ერის ყველა ძალებისა, თვით ერის. ომი არის გამოცდა თუ რამდენად ხერხ ერს იარსებოს დამოუკიდებლად, თუ რამდენად იმრომა მან მისი სამხადისის სანაში, რომ ასეთ გარდამწყვეტ მომენტში მტერს შეხვდეს სულიერად, ფიზიკურად და მატერიალურად მომზადებული, გაიღოს მაქსიმუმი თავის შესაძლებლობისა და ამ ყოფნა არ ყოფნის საკითხის გადაჭრის დროს დაანახოს სამშობლოს, მტერს და მეზობლებს თუ როგორ ძვირად აფასებს ის თავის არსებობას.

ასე ხდება ყოველ ნორმალურ სახელმწიფოში, ასე ხდებოდა ეს მუდამ საქართველოში მთელი მისი ისტორიის მანძილზედ.

მივიღოთ მხედველობაში, რომ ჩვენ მოგზავნილით განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომ დამოუკიდებლობა მოულოდნელად მოუმზადებლებს დაგვხვდა ციდან თავზე, რომ ეს პირველი ფაქტორი,სულიერი,ძალიან მოიკოჭლებდა ჯერ ერთი ასი წლის განმავლობაში ველურთა მონოდის ქვეშ ყოფნისაგან და მეორე ორმოცი წლის შემთხვევით საქართველოში ფეხმოკიდებულ მარქსისტთა — ანტი-ერეოვნულ პროპაგანდის წყალობით. მაგრამ რა გაკეთდა ამ მიმართულებით, ამ სულიერი ფაქტორის ასაწევად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ? ან განა შესაძლებელი იყო რამე გაკეთებულიყო მათ მიერ, ვინც 40 წლის განმავლობაში ამას ეკრძოდა და ყოველგვარი პატრიოტული გამოძეძებნება მათ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ, და რომელნიც რაღაც უკუღმართი ბედის წყალობით ამ დამოუკიდებლობას დაპატრონენ. მომხსენებელმა საკუთიანად და სამართლიანად აღნიშნა თუ როგორ აგონებ,და ჩვენი ხელმძღვანელობა ერს რევოლუციის მონაპოვარის უპირატესობას სხვა ყოველ ეროვნულ საჭიროებათა წინაშე და თვითონაც ამგარად მთავარ ენერგიას ამ რევოლუციის მონაპოვარის შენარჩუნებას უფრო ანდომებდა, ვიდრე ეროვნულ ინტერესების დაცვას. ასევე იყო მეორე ფაქტორის — ფიზიკური ძალის— მდგომარეობაც, რომელმაც კორეტა ხელმა ორ ერთმანეთის მოძულე ბანაკად — არმიად და გვარდიად — გაჰყო და მით არამც თუ მარტო გაართულა ამ ორი ნაწილის მართვა და მომზადება, არამედ შემოიღო უვარ ისი სისტემა ერის შეიარაღებისა არსად არ ნახული, არსად არსებული.

მომხსენებელმა სწორედ დაამტკიცა, რომ არც მარტო გვარდიის ბრალი იყო არც მარტო არმიის, არამედ თვით სისტემის.

ასეთივე ბედში იმყოფებოდა მატერიალური სამზადისი, სხვა და სხვა აპპარატები სამხედრო საქმიანობის და ამ მხრივ უნდა მართალი ითქვას, რომ ეგ ნაწილი გ. რ. გაბაშვილის მოხსენებისა იმდენად მდიდარი და მრავალ ფეროვანი იყო როგორც ფაქტებით, აგრეთვე საგუთებით, რომ მას თამამად შეეძლო მეორე ნაწილის ნაცვლად დაერთო თავის მოხსენებისთვის კიდევ ერთი ფრაზა: « მაშასადამე ომის მოგება არ შეგვეძლო », და თვით ოპერაციების განხილვა, მათი შესწავლა მიენდო სპეციალისტებისათვის, მაითვის, ვისაც მეტი ცოდნა, მომზადება და მასალებიც მოეპოვება. მაგრამ, გ. რ. გაბაშვილი არ დაკმაყოფილდა ეისი კომპეტენციით და მეორე ნაწილში თავის მოხსენებისა აგვიწერა სამხედრო ოპერაციები და გააშუქა ისინი — შეგვიძლიან ვსთქვათ — თავისებურად. და აი რატომ.

სამხედრო ოპერაციების აღწერა და შეფასება მომხსენებელმა დაიწყო 11 თებერვლიდან მოყოლებული ვიდრე ბათომის ჩაბარებამდე. მთელი ამ ხანის მანძილზე ( თბილისთან ბრძოლებისა და მისი დატოვების გარდა ) მომხსენებელმა ცოცხლად დაგვიხატა და დაგვანახა, რომ ყველა მარცხები ჩვენ მიერ ნახული იყო შედეგი მოუმზადებლობის, ჯარის და გვარდიის სისუსტის, სამხედრო საქმეებში არა-კომპეტენტური პიროვნებათა ჯა კომისიათა ჩარევის, თვით სარდლების სრული სისუსტით და უპასუხისმგებლო მოქმედების ( გედევანიშვილი, ჯიჯიხია ) და სხვა. როგორც დავინახეთ 11 თებერვლიდან თბილისამდე ვერც ერთი ბრძოლაც კი ვერ მოვიგეთ, რათგან ბრძოლის მისაცემათ ფეხი ვერსად ვერ მოვიკიდეთ, პანიკა მოცული ჯარი და მისი სარდლობა ვერც ერთ სტრატეგიულ პუნქტზე ჯარის შეჩერებას და კონცენტრაციას ვერ ახერხებს. ასე რომ რუსეთ-საქართველოს ომის ეს ნახევარი არც ერთ ბრძოლას — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — არ შეიცავს. პატარ-პატარა შეტაკებები, პატარ-პატარა გეზოლდები ზოგჯერ ლამაზი და ჩვენთვის სახელოვანი, მაგრამ ამავე დროს სამარცხვინო. ერთი მეოთხედი ჩვენი ტერიტორიისა თუ მეტი არა მტერმა სრულიად ადვილად ჩაიგდო ხელში, ტერიტორიის პირველსარისხოვანი მნიშვნელობის ნაწილი, ყველაზედ საყურადღებო, საშიშარი მხარე და საზღვარი ჩვენი სახელმწიფოსი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი სამხედროსანთაში არა გაკეთებულა რა ამ მიმართულებით, ჩვენი შტაბ მისი უფროსით და მთავრობა მთელი თავისი [illegible] არაფერს აკეთებდა, ან თუ აკეთებდა ხელ ხსა დრეში. აღრმავებდა რევოლუციას და მისი მოსაგვარის [illegible] ნეზისათვის თავ-პირს იმტვრევდა. მომხსენებელს გადმოგვა რა ერთი რამ. ყოველი ბრძოლა, სამხედრო ოპერაცია გამოდინარეობს წინა ბრძოლიდან წინა ოპერაციიდან. ბრძოლის აუცილებლობა თავისთავად,დამოუკიდებლად,მოულოდნელად იშვიათ შემთხვევაში წამოიჭრება ხოლმე. ის მუდამ არის ლოდიკური შედეგი წინამორბედ მოვლენებისა და ოპერაციებისა, და ამ გზით თუ გავყევით ლოდიკას თბილისთან მოგებული ნამდვილი ბრძოლები, სასტიკი და უსწორო ან უნდა მივაწეროთ სასწაულს ან და ახლად დანიშნულ მთავარ სარდალს. როდესაც 16 თებერვალს მთავარ-სარდალთ ღენ. კვინიტაძე დაინიშნა არც ყოფილ მთავარ-სარდალს, არც ღენერალურ შტაბს არ შეეძლო მიეცა მისთვის სწორი ცნობები ჯარის რაოდენობაზე, მისი მდგომარეობაზე. მხოლოდ ვარაუდათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ რამოდენიმე ათასი კაცი პანიკით მოცული და ნაზვერად განიარაღებული თბილისისაკენ მიიჩქარის.

მომხსენებელი რომ სამხედრო პირი იყოს მისთვის ძალიან ადვილი გასაგები იქნებოდა, რომ თბილისის ბედი მაშინ იყო გადაწყვეტილი, როდა ჯერ ხელ-უხლებელმა ჯარმა ვერ მოახერხა ერთი ბრძოლის მიღმა სახელმწიფოს საზღვარზე და ვერც მერვითი ქმის 80 კილ. მანძილზე, ასეთ პირობებში ახალ მთავარ-სარდალს შეეძლო ეკისრა მხოლოდ ერთი რამ, ერთ რამეს დაჰპირებოდა მთავრობას: სანამდის თბილისის წესრიგიანი ევაკუაცია დასრულდებოდა მანამ მტერი არ შემოვშვა, მაგრამ მოხდა სასწაული. უკანასკნელი ძალების დაჭიმვით, საერთო არეულობის და დაბნეულობის დროს მთავარ-სარდალი ასეთს ბებს მცირე რიცხოვანი ჯარის ( 9000 კაცამდე ) საშუალებით ნამდვილი საბრძოლო ხაზების ფრონტის შექმნას და არამც თუ მიზნად თბილისის ევაკუაციის მოსწრებას ისახავს, არამედ ომის დაწყებას. დიახ, ჩემის აზრით ომი დაიწყო მხოლოდ თბილისთან, მხოლოდ თბილისთან გავსწიეთ ჩვენ სასტიკი ბრძოლები, და რაც გასაკვირველია ეს ბრძოლები მოვიგეთ. მთავარ-სარდალმა თბილისთან ბრძოლების დღეებში გააკეთა მაქსიმუმი და თუ მან 24 თებერვალს თბილისის დატოვება გადასწყვიტა, ეს იყო გამოწვეული აუცილებლობით. გ. გაბაშვილის აზრით მთავარ-სარდალს არ ჰქონდა უფლება დაუკითხავად მთელი რიგი პიროვნებებისა და ინსტიტუტებისა ასეთი დიდი საკითხი გადაეწყვიტა, რომ თბილისის დატოვება 24 დიდი შეცდომა იყო, გამოწვეული პანიკით, რომ თბილისის შემოერტყმის საშიშრობა ეს პანიკური ფანტაზიის შედეგი იყო, რამიც თვით მომხსენებელი დარწმუნდა დიღომსა და თბილისის შუა ხეირობის დროს. ამაზედ უნდა ჩოვანსნენ შემდეგი: მთავარ-სარდალი ოებულობს გარდაწყვეტილებას და იძლევა ბრძანებებს იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მას მოსდის მისი პასუხისმგებლებ ხელქვეითთა გან. შემლების დაგვარად ამ ცნობებას სისწორეში რწმუნდება პირადად და მერმე იღებს საბოლოო გარდაწყვეტილებას. ეს ბრეცედურა შესრულებული იყო.აქ უნდა აღვნიშნო, რომ ამის შესახებ ემიგრაციაში ეჭვი გამოთქმული იყო რამოდენიმე პირის მიერ აზრი. მაგ. ლეონ. მათიკაშვილიც და ლეონ. ნალიც იმ აზრის არიან, რომ თუ 24 თებერვალს თბილისის დატოვება აუცილებელი არ იყო, ის გახდებოდა აუცილებელი 25-ს ან 26-ს. გარდა თბილისის შემოვლის საშიშროებისა, რომელიც აუცილებლად არსებობდა, მთავარ-სარდალი, ჩვენის აზრით, კიდევ სხვა წმინდა სტრატეგიული მოსაზრებით მოქმედებდა. 1) ცნობების მიხედვით მტერს მამველი მოსდიოდა და არსებულ ფრონტზე მოგერიება ჩვენი ძალებით დღიდან დღეზე ძნელდებოდა. 2) მცხეთის პოზიციებს მისი ტოპოგრაფიული თვისებებით ის უპირატესობა აქვს თბილისის პოზიციებთან, რომ იქ: ა) ფრონტი უფრო მოკლეა, რაც გვაძლევს საშუალებას ჯარების შეკუმშვისა და რეზერვის გამოყოფისა ამ მცირე ჯარიდან. ბ) თფილისთან ფრთები გვაქვს ეკან დაწეული და ცენტრი კი წინრაც მოპირდაპირეს უადვილებს ფრთების დამოქრებას მაშინ, როდესაც მცხეთასთან წინაუკმო სურათს ვხედავთ. ფრთები წინ წაწეული, ცენტრი უკან დაწეული და ეგრედ წოდებული ნახევარი ოგოლი ჩვენთვის უფრო ხელ-საყრელი და გამოსადეგი. ყოველ შემთხვევაში სამხედრო ოპერაციების გაშუქების დროს აუცილებელი საჭიროა დოკუმენტალური ცნობების მიხედვით შეფასდეს ისინი და არა პირადი შთაბეჭდილებების, კერძო არა სამხედრო პირების აზრთა და ტენდენციური ბრალდებათა მიხედვით, რაც ძალიან ხშირია ჩვენს საზოგადოებაში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი ახალგაზრდა მხედრეები გამოიყენებენ ყველა ცნობებს, გამოიყენებენ ყველა იმ პასუხისმგებელ პირებს ჩვენი წარსული მთავრობიდან, რომელნიც ემიგრაციაში იმყოფებიან ( მთავრობის თავმჯდომარე. მთავარ-სარდალი, ღენერალური შტაბის უფროსი ) და დაგვიხატავენ სწორს და ნამდვილ სურათს მომხდარი კატასტროფისა და ამით საშუალებას მოგვცემენ ბრალდებულის სკამზე მოვათავსოთ ნამდვილი დამნაშავენი და პასუხისმგებელნი პირნი და არა ისინი ვინც ვის მოეპრიანება.

მ. ჯ.

---

## რად არა ვართ თქვენთან?!

( გაგრძელება ) 1)

სოციალ-დემოკრატიის ასეთ ანტიეროვნულ პოლიტიკას ჯერ როგორც პარტიისა მხოლოდ და შემდეგ როგორც სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი პარტიისა მოჰყვა შედეგად ის, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამი წელიწადი იბოგინა და მტრის ერთი სულის შებერვით გაჰქრა. ამ პარტიის დანაშაულს ჩვენ ვერ დავაფასებთ სათანადოდ, და ეს მით უფრო, რომ მოლტი, რომელსაც ჩვენ მას მოვუქნევთ, თავის ბოლოთი საქართველოს ეროვნულ პარტიებსაც წვდება, რომელთაც ვერ აღმოაჩინდათ იმდენი

1) იხ. « ო.-ბ. » მე-74-75-ე და მე-76-ე ნომ.

ძალა, რომ სოციალ-დემოკრატიის ასეთ საქმიანობისათვის სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ. ეს უნდა ითქვას ამგარად.

მაგრამ რაც წარსულში იყო შეიძლება დავიწყებას მისცემოდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიას ჩვენი დაღუპვის შემდეგ მაინც დაგნახა და აღიარეგია თავისი შეცდომანი. მაგრამ პირიქით! ჩვენ იმის მოწამენი ვართ, რომ ეს პარტია არა თუ არ ჰგმობს თავის წარსულს, არამედ იქიდან ერთს იოტსაც არ თმობს და ლამობს კიდეც, აღდგენილ საქართველოში ერთგულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას კვლავ სათავეში მოექცეს და თავისი ანტიეროვნული საქმიანობა განაგრძოს, ამას სჩადის ეს პარტია დღეს, როდესაც ქართველი ხალხი ბოლოს მაინც ერთგულად იღვიძებს. ეს ისეთი მახინჯი და აღმამფოთებელი მოვლენაა, რომ არა თუ ეს პარტია, არამედ ყოველი ქართველიც, რომელსაც ამ პარტიასთან პოლიტიკური საერთო რამე აქვს, ან საერთო რამეს იქონიებს, ერთგულ იდეის მოღალატედ უნდა ჩაითვალოს.

რა არის თუ არა ღალატი ერის მიმართ დღეს, დღევანდელ ჩვენს პირობებში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შიგრ მთავარ პოლიტიკურ ლოზუნგად « პროლეტარეთო ყველა ყვეყნის შეერთდით » გამოცხადება?! განა დღეს ქართველ ხალხს მსოფლიო პროლეტარიატის საკითხები უნდა აინტერესებდეს? განა მას სხვა უფრო მეტი საზრუნავი საგანი არ გააჩნია? რა საქმე აქვს ქართველ ხალხს მსოფლიო პროლეტარიატთან? ან ვისი საზეგლით მიმართავენ მსოფლიო პროლეტარიატს? ქართველი პროლეტარიატის? სად არის ეს ქართველი პროლეტარიატი? თუ გულისხმობენ ჯერევანდელ საქართველოს, სადაც ერთლაც ხალხს არაფერი არ გააჩნია, სადაც ის გაყვლიფა და უკანასკნელი საზსარი წაერთვა ამავე კლასთა ბრძოლის, პროლეტარული პარტიისაგან, რომელსაც «ბრძოლის ხმის» მწვრალნიც მეუთვნიან? მაგრამ « ბრძოლის ხმის » პარტიას ეს ლოზუნგი საქართველოს რუსეთის შიგრ დაპყრობამდინაც ჰქონდა, მაშინ კიდევ, როდესაც საქართველოში პროლეტარი თითქმის სამთლით იყო საძებარი. — ღალატი არის აბა რა არის, დღეს ქართველი ხალხის გულის ყურის მიპყრობა მსოფლიო პროლეტარიატისა! მერე რომელი ქვეყნის პროლეტარიატს გაეგება ერთგული ტანჯვა!! პროლეტარიათისათვის ხომ გაუგებარია მენშევანი « ერი », « ეროვნება »!! განა არ იციან « ბრძოლის ხმის » მიმდევრებმა, რომ კლასთა ბრძოლის ქადაგებამ, კლასთა ბრძოლის ძალდგრებამ, რასაც ისინი კომუნისტებთან ერთად იზიარებენ, ერთგული ინტერესები შეიწირა?! პროლეტარიატის მეთაური — ინტელიგენტი, პროპაგანდისტი თუ უწევს ერს ანგარიშს, და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ერის ნებილ ბურჟუაზია, რომელსაც ჯერ კიდევ ერთგული მეგნეგა მერჩენია, მტრად არ იყოლიოს, თუ შესაძლებელია კიდეც მიიმხრეს, სანამდი ის სულ გაპროლეტარდებოდეს და კლასთა ბრძოლის ქადაგებისათვის შესაფერი ობიექტი გახდებოდეს.

ჩვენდა სასიხარულოდ ქართველი ხალხი დღეს ასე თავგამოდებით თუ იბრძვის თავისი ეროვნული მეობის დასაცავად, ეს იმიტომ, რომ ის სრულებით მოკლებული იყო პროლეტარული ელემენტებს. ანტიეროვნულმა თეორიამ და პრაქტიკამ ჯერ სოციალ-დემოკრატებისამ და შემდეგ იმავე წიაღიდან წარმოშობილ კომუნისტებისამ ამიტომ ვერ მოიკიდეს ფეხი და ისეთი განმხრწნელი როლი ვერ ითამაშეს, როგორც ეს მოსალოდნელი იქნებოდა, თუ რომ საქართველოს სინამდვილეში ისეთი პირობები ყოფილიყვნენ, როგორც ევროპის თუ ამერიკის ქვეყნებში.

მაგრამ « ბრძოლის ხმის » მწვრალთ განა კარგად არ უწყიან, თუ რამდენად სტკივა გული მსოფლიო პროლეტარიატს ქართველ ხალხის მონობისათვის?! ეს იმათ ჩინებულად იციან, და თუ ისინი მაინც განაგრძობენ ეროვნული თვალსაზრისით დამღუპველ საქმიანობას, მხოლოდ ქართველი ხალხის მოსატყუებლად. მათი მიზანია ქართველ ხალხს მსოფლიო პროლეტარიატი დიდი პოლიტიკურ ფაქტორად მოაჩვენონ, ფაქტორად, რომელსაც საქართველოს განთავისუფლების საკითხში გადამჭრელი როლის თამაში შეუძლია. თუ საქართველო განთავისუფლდა, ეს მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის წყალობით. ეს ალა კი ის ძალაა, რომლის დროშის ქვეშ იბრძოდა და იბრძვის საქართველოს სოციალ-დემოკრატია. აქედან დასკვნა: სოციალ-დემოკრატიის ხელისუფლება განთავისუფლებულ საქართველოში.

რა უნდა უწოდოს ადამიანმა ასეთ საქმიანობას თუ არა ეროვნული ღალატი? დღეს მსოფლიო პროლეტარიატის ძალაზე, და ისიც მხოლოდ იმ ნაწილისა, რომელიც მეორე ინტერნაციონალშია გაერთიანებული ( დანარჩენი ნაწილი კი, რომელიც უმრავლესობას შეადგენს, ხომ მეხამე ინტერნაციონალში შედის და ლოცულობს საჯოთა ხელისუფლებაზე — რუსეთზე! ) დაყრდნობას და აქედან ჩანის მოლოდინით ქართველი ხალხის მოტყუებას ალა სხვა რა სახელი უნდა იწოდოს თუ არა ღალატი! და ასე უტიბრათ სტყუიან სოციალ-დემოკრატები დღესაც, როცა მეორე ინტერნაციონალის ჯურის პროლეტარულ მოძრაობას გერმანიის სახით უშველებელი საძირკველი გამოეცალა და ან მოძრაობიდან ნამსხვრევები-ღა დარჩა.

დღეს საქართველოში ეკონომიურად ყველა თანაგარ საფეხურზე სდგას, ყველა გაღატაკებულია. ქართველი დღეს მის მდგომარეოგას როგორც ეროვნულად, ისე ეკონომიურადაც არ ურიგდება. ის იბრძვის აგრეთვე უკეთესი მომავლისათვის. ასეთ ძეშავალს ის ხედავს განთავისუფლებულ საქართველოში. განთავისუფლებულ საქართველოში უნდა გაჩაღდეს აღმ მიგემოგა, საქალაქო და სახოფლო მრეწველობა-წარმოებით. ერის ეკონომიურ განვითარებასთან სდგას ბუნებრივად სოციალური ეიფერენციაცია. საქართველოშიც უთუოდ ასე მოხდება, ამ შეძთხვევისათვის მზად არის საქართველოს სოციალ-დემოკრატია თავისი კლასთა ბრძოლის პრინციპებით, ეროვნული მთლიანობის გამხრწნელი მოძღვრებით. ხოლო საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლა კი უპირველეს ყოველისა სწორედ ამ ეროვნულ მთლიანობას, ეროვნულ მთლიანობის შენებას მოითხოვს!

მაგრამ სოციალ-დემოკრატებისათვის, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც არის მთავარი არა ეროვნული, არამედ კლასიური. « ბრძოლის ხმის » ფურცლებიც, როგორც სოციალ-დემოკრატიის ორგანოსი არ ღალატობენ არასოდეს პარტიის ამ მთავარ ხაზს. ამ ორგანოს ფეოცლებზე ყველაფერს ნახავთ, მაგრამ ეროვნულს კი ვერაფერს. თქვენ აქ შეგიძლიათ წაიკითხოთ ვრცელ-ვრცელი მოხსენებები, თუ ხად რა სთქვა ბლუმმა, რა უპასუხა ოტტო ბაუერმა ( ორივე უთვისტომონი!), ან კი როგორი შეფასება ჰქონდა კომუნისტური ხელისუფლებას ფრიდრიხ ადლერის მიგრ უწინ: რუსეთის სინამდვილეში რევოლიუციონურია ეს ხელისუფლება, თუ რეაქციონური, და დღეს რას ამბობს იგი ამ საგანზე, და სხვა ამის მსგავსი ათასი. ასეთა მახალითა ჰკვეგავენ სოციალ-დემოკრატები გადატაგებულ გაძვალტყავებულ ხალხს საქართველოში. « ბრძოლის ხმას » უკანასკნელ ნომერში მაინც ჩვენი ეროვხული საკითხები იმდენად მოუგვარებია, რომ მას ეს ღა დარჩენია, ქართველს ხალხს ერთი კ რი სოციალ-დემოკრატიული პროგრამა შეუმუშავოს!! ( მერე ამას თუ რამე,— რასაკვირველია « ბრძოლის ხმის » ინფორმაციით, — საქართველოდან მოითხოვენ! ჩვენ არ გვგონია, რომ « ბრძოლის ხმას » საქართველოში ვინმე ასე ადვილად გაბრიყვება შეეძლოს. მაგრამ თუ ეს მართალია და, თუ გინდ, პატარა უმნიშვნელო ჯგუფიც « ბრძოლის ხმის » ამ სიტყვებს ამართლებს, მით უფრო დამაფიქრებელი მოვლენა იქნებოდა ეს საქართველოს მომავალისათვის).

« ბრძოლის ხმის მიმდევრებისაგან მველის ბზით, ეროვნულ თვალსაზრისით თუმცა მოღალატურის, სიარული მაინც გასაგები ერის. ზოგი მათგანი შეიძლება მართლა გულწრფელად ემსახურება ამ ბზას, ზოგი შეცდომებულია მას და მისი დატოვება თავმოყვარეობის საკითხად გაუხდია და ზოგიც შეიძლება ამ ბზას აწმყო თუ მომავალში ანგარების მიზნებით მისდევს, გასაკვირი ის არის მხოლოდ, რომ სოციალ-დემოკრატებს ეროვნულად მოაზროვნე წრეებიდანაც თანამგზავრნი აღმოაჩნდათ. იმის მაგივრად რომ ყოველი ჭეშმარიტი ქართველი გაიმიჯნოს ამ მიმართულებისაგან და ამით წარუხოცელი დაღი დაასვას მის პოლიტიკურ საქმიანობას წარსულში და აწმყოში, რომ მას მომავალში ჩვენში არავითარი გასავალი არ მიეცეს, ეს თანამგზავრნი სოციალ-დემოკრატებისა თავის თანამშრომლობით ამ პარტიას ქართველი ხალხის თვალში რეაბილიტაციას უკეთებენ და ნდობას უხვეჭენ. ემიგრაციის ეს ნაწილი თავის ამ ნაციჯს, რასაკვირველია, ეროვნული ინტერესებით ასაბუთებენ, თითქოს ამას საქართველოს განთავისუფლების საქმე მოითხოვდეს. უთუოდ ისინი ფიქრობენ, რომ ევროპის რომელიმე ძალა ანგარიშს უწევდეს ქართველ ემიგრაციის პოლიტიკურ ჯგუფთა ერთი-ერთ მორის დამოკიდებულებას. ჩვენი ღრმა რწმენით კი ასეთი კონცეპცია მოკლებული იქნებოდა სრულებით რეალურ საფუძვლებს. თუ რომელიმე დიდი სახელმწიფო ან სახელმწიფოები ჩვენი საკითხით დაინტერესდა, საქართველოს განთავისუფლების საკითხი მისი პოლიტიკის ორბითში მოექცია, აქ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მორის დამოკიდებულებას ( მით უფრო ემიგრაციაში! ) არა თუ ძალიან ნაკლები, საერთოდ არავითარი როლი არ ეთამაშებოდა. სულ სხვა საკითხია, თუ როგორ ეყურებენ საქართველოს პოლიტიკური პარტიები დამოკიდებულობის იდეას. ჩვენდა საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რა მოსაზრებით, საქართველოს ყველა პარტიები ( რასაკვირველია გარდა კომუნისტებისა ) საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგანან. ეს არის მთავარი. პარტიათა მორის ერთი-ერთობა არის საკითხი მინაური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის და საგარეო პოლიტიკას მასთან საერთო არა აქვს არაფერი. ამრიგად საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ერთი-ერთ მორის დამოკიდებულება. ან მათი ძალთა განწყობილება არ შეიძლება ჩაითვალოს იმ საზომად, რომლითაც მიუდგება ჩვენს საკითხს გარეშე ძალა. სრულებით უმეცარი პოლიტიკა იქნებოდა მიზნად დასახვა იმისა, რომ ემიგრაციაში პარტიათა მორის დამოკიდებულება ან ძალთა განწყობილეაა უცხო ძალას საქართველოს დღევანდელი სინამდვილის ანარეკლად დავანახოთ. ემიგრაცია თავისი პოლიტიკური მინაარსით 1921 წლიდან მოწყვეტილია მშობლიურ კერას. ამის შემდეგ ბევრი წყალი ჩავიდა ზღვაში. პარტიათა მორის ძალთა განწყობილება ბევრ უფრო სტაბილურ ქვეყნებში შეიცვალა ძირეულ-ფესვიანად; ჩვენ ასეთი კომბინაციით ვერა კაცს ვერ მოვატყუებთ, და ჩვენ იმდენად ბრიყვები ვართ, რომ ამ კომბინაციების თვითონ გეჯერა, სხვას, უცხოელს, ვერ დაეჯერებთ და სიმართლეც მის მხარეზედ იქნება.

ამრიგად ემიგრაციის ეროვნულ ნაწილის სოციალ-დემოკრატთან კოალიცია *) ჩვენი ღრმა რწმენით ეროვნული საქმისათვის მავნებელია, რამდენად ასეთ კომბინაციას ქართველი ხალხი სოციალ-დემოკრატების დაფასების საკითხში რყევაში შეყვანა შეუძლია.

*) ამ წერილში არსად არ არის ნახსენები საქართველოს ყოფილი მთავრობა ან ეროვნული ფრონტი. საქართველოს მთავრობა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ხინონიმია. იგივე ითქმის ე. წ. ეროვნულ ფრონტზე და პარტიათა კოალიციაზე.

( გაგრძელება იქნება )

კ. ვ ე ბ ე ა.

ბერლინი.

## ბიბლიოგრაფია

### პროფესორი იოსებ კარსტის „ ქართული საქრისტიანო მწერლობა “ *)

შესანიშნავ ელზასელ მეცნიერ ორიენტალისტს, სპეციალისტ ირანისტს, რომელსაც ისეთი დიდი ღვაწლი მიუძღვის გახსაკუთრებით სომხური ფილოლოგიის დარგში, ქართული ენა არა თუ აროდეს დავიწყებია თავის მრავალ მხრივ კვლევათა დროს, არამედ მას ახლა ქართული მწერლობაც გაუხდია დიდი მნიშვნელობის მქონე საგნად კვლევისა. ი. კარსტს მრავალი დიდი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ბერმანულ და ფრანგულ ენებზედ, სადაც იგი იკვლევს უძველეს ძირებს წინა-აზიისა, სამხრეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის პრე-სემიურ და პრე-ინდოგერმანულ კულტურათა, და ოღონ იმ რასიული ელემენტისა, რომელსაც ქართველნი და ბასნიმეთ-ნათესავე ერნიც ეკუთვნიან, ამ კულტურათა შექმნაში ისევე ცხადია მისთვის, როგორც ნ. მარრისათვის, რომელიც დიდი ხანია იმავე პრობლემებით არის გატაცებული.

და რა საკვირველია, რომ ასეთი მრავალ-მხრივი მკვლევარის მიერ დაწერილ ქართული მწერლობის ისტორიას სხვა და უფრო დიდი ღირსება და მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე მრავალ ამ გვარ ცდათა მათ მიერ, ვისი ჰორიზონტიც შეზღუდულია. მართლაც, კარსტის წიგნის მთავარი ღირსება ის კი არ არის, რომ იქ საგნის ცოდნა სჩანს და სრულის ობიექტივობით არის გარჩეული ქართული მწერლობის ყველა დარგი საუკუნეთა მანძილზედ, არამედ ის, რომ ყოველი დიდი პრობლემა ქართული მწერლობისა და აგრეთვე კერძო პრობლემები მისი ავტორის ღრმა კვლევის საგანი ყოფილა, და გარკვეული, ნათელი პასუხი მკვლევარისა მოკლეა მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა წიგნში ვრცლად ამ რთულ საკითხებზედ მსჯელობა შეუძლებელია. არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა მიმართულება მიეცა რუსეთში სომხურ-ქართულ მეცნიერებას წარსულ საუკუნეში და რა გავლენა იქონია ამ მოვლენამ თვით ნიჭიერ მკვლევარებზედაც. ისეთი გიგანტი, როგორც ბროსსე იყო, რასაკვირველია ადვილად არ ჩავარდებოდა შეცდომაში და სწორედ ის იყო პირველი, რომელმაც ზემოხსენებულ მიმართულებას არმენოლოგიისა და იბეროლოგიისა კბილები დააძრო, მაგრამ რამდენია დღესაც კი ევროპაში, რომელიც სავსებით ვერ განთავისუფლებულა მისგან, და ზოგ ქართველ მკვლევარსაც კი დიდ ობიექტივობად მიაჩნია, თუ რამენაირად იმ მიმართულებასთან კუდი გადაბა. აქ არის უმთავრესი ღირსება კარსტის წიგნისა, სადაც ავტორისაგან. დამოუკიდებლად ყოველი გავლენისა, საგნის ღრმა ცოდნით, წყაროთა ნამდვილი დაფასებით და თვით ქართველთა ტომისა და მისი ცხოვრების გადაბმით იმ ერებთან და კულტურულ სფეროებთან, აზიითგან ევროპამდე, რომლებთანაც საუკუნეთა განმავლობაში საქართველო დამოკიდებულებაში იყო, განხილულია ყველა დიდი და სადაო საკითხი ჩვენი მწერლობისა: ქართული ანბანისა, ქართლის ცხოვრების შედგენისა და ღირსებისა, საღმრთო წერილის თარგმნისა და სხვ.. თვით კერძო ნაწარმოებთა ან ძეგლთა დაფასება, როგორც მაგალითად ვახუშტის ისტორიისა და გეოგრაფიისა, ვახტანგის კანონთა და სხვ., ან და კერძო ლიტერატურულ საკითხთა გარჩევა, როგორც მაგალითად „ სიბრძნე ბალავარისაის “ დასავლეთში გავრცელებისა, ეფთიმე მთაწმინდელის მიერ მისი ქართულითგან ბერძნულად თარგმნისა, და სხვ.. გაცილებით უფრო ღრმაა და ნამდვილი, ვიდრე კ. კეკელიძისა ან სხვათა, რომელნიც ამ საკითხებზედ მსჯელობენ. — ფრანგული თარგმანი ვახტანგის კანონთა, რომელთა სპეციალურ შესწავლას დიდი დრო მოანდომა ი. კარსტმა, დაიბეჭდა სტრასბურგში და გამოვიდა.

კარსტის „ ქართული მწერლობა “ კიდევ მით არის დაუფასებელი, რომ იგი ერთად ერთი წიგნია დღეს ევროპიულ ნაზედ, რომელიც ევროპიელ მკითხველს მთელ და სწორ წარმოდგენას აძლევს ქართულ მწერლობაზედ და მის განვითარებაზედ ქრ. შ. მეხუთე საუკუნითგან დღემდე. ახალი ქართული ნაშრომები ამ დარგისა არ არიან თარგმნილნი ევროპიულ ენებზედ, და რუსულად და ევროპიულ ენებზედ რაც არის დაწერილი, ან მცირეა, ან დაძველებული, ან სისწორეს და სიმართლეს მოკლებული.

და ჩვენც. ქართველნი მადლობელნი უნდა ვიყოთ პროფესორი ი. კარსტისა არა მარტო იმიტომ, რომ მისი „ ქართული მწერლობა “ ნამდვილი მეცნიერული სისწორით არის დაწერილი, და თანაც კეთილშობილი, სიყვარულის გრძნობით ქართული მწერლობისადმი და ჰისი შემქმნელი ერისადმი, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ავტორმა ბევრი დიდი სადაო საკითხის კვლევისათვის მართალი და სწორი გზა გვიჩვენა.

**მიხ. წერეთელი.**

*) *Littérature Géorgienne Chrétienne*, გამოცემული *Bibliothéque Catohlique des Sciences Religieuses*-ის მიერ, *Librairie Bloud et Gay, 1934.*

ამ წიგნის გამოსვლა და მოკლე დახასიათება უკვე იყო „ თ.-გ. “-ის 76 ნომერში.

## ქ რ ო ნ ი კ ა

### ქ ა რ თ ვ ე ლ ი რ ე ლ ი გ ი ო ნ ე რ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი

ა/წ 23 ივნის ქალ. პარიზში ინჟენერმა ბ. სიმონ ციციშვილმა წაიკითხა მოხსენება:

ა) გეოლოგიური კვლევის დროს ნაფთის დედა-ფენების პოვნა და ამით დამტკიცება ნაფთის გაჩენისა,

ბ) საქართველოს ნაფთიანი ადგილების შეფასება სამრეწველო მნიშვნელობით.

მოხსენება იყო ფირად შინაარსიანი და საინტერესო.

**სარედაქციო კოლეგია.**

Imp. Danzig, 26, Rue des Francs-Bourgeois Paris,

Le Gérant : Félix KALDENBACH.